

ია ქანთარია პირადი არქივის აღწერილობა

(1900–1937)

დაიბადა სოფ. ზემო აკეთში (ლანჩხუთის რ-ნი). 1922-24 წ.წ. სწავლობდა აკ. ფალავას დრამატულ სტუდიაში (რომელიც გადაკეთდა თეატრალურ ინსტიტუტად). 1924 წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. 1929 წელს დაინიშნა რეჟისორის თანაშემწედ და სამხატვრო საბჭოს მდივნად. 1930 წელს კი სალიტერატურო ნაწილის გამგედ და რეჟისორის ასისტენტად. 1932 წელს ჩამოაყალიბა რუსთაველის თეატრის მუზეუმი და შეთავსებით იყო მისი გამგე. 1933 წლიდან მუშაობდა რუსთაველის თეატრის სტუდიაში და კითხულობდა ქართული თეატრის ისტორიის კურსს, მისივე შედგენილი პროგრამით. 1925 წლიდან რამდენჯერმე აირჩიეს თეატრის პროფკავშირის თავმჯდომარედ და 1932 წელს არჩეული იყო საკავშირო პროფკავშირების ყრილობის დელეგატად.

1930 წლიდან ია ქანთარია ესტრადაზე გამოდიოდა, როგორც მსახიობი იუმორისტი და აქტიურად ხელმძღვანელობდა საკონცერტო-საშეფო ბრიგადის მუშაობას, რისთვისაც დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.

იგი იყო სახასიათო როლების შემსრულებელი მსახიობი. მის მიერ შესრულებული ეპიზოდური როლებიდან აღსანიშნავია: მეტურჭლე (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), მეორე აქტიორი, ვილჰელმ პედუ (შექსპირის „ჰამლეტი“ და „ვინორის ცელქი ქალები“), სტუმარი (გრ. რობაქიძის „მალშტრემ“), ირნურ (ა. გლებოვის „ზაგმუკი“), ლაქია (მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“), ჯარისკაცი (კ. მარჯანიშვილის „მზეთამზე“), ეგუელი (ლ. ფულდის „ვირის ჩრდილი“), მეეზოვე (ნ. აზიანის „დეზერტირკა“), ნაციონალ-დემოკრატი (ხოზიკას „ხოჭოების დოლი“), შტიუსი (შილერის „ვილჰელმ ტელი“) და სხვა.

ია ქანთარია იყო სანდრო ახმეტელის ერთგული თანამებრძოლი, მისი იდეებისა და შემოქმედებითო მრწამსის თანამოზიარე. იგი პრინციპულად იგდა მის მხარეზე, როცა მიმდინარეობდა საბედისწერო კონფლიქტი, რომელიც დიდი რეჟისორსა და ლ. ბერიას შორის წარმოიქმნა. ამიტომაც იგი, რუსთაველის თეატრის დირექტორ გორდელაძის, 1935 წლის 1 დეკემბრის ასეთი ბრძანებით გაათავისუფლეს: „თეატრის მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანისთვის და დაჯგუფებათა ცდებისთვის, რაც მიმართულია თეატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის ჩაშლისაკენ, მოიხსნას თეატრიდან 1 დეკემბრიდან სალიტერატურო ნაწილის გამგე ია ქანთარია, მსახიობები: ვლადიმერ ადამიძე, თინა ღვინიაშვილი, ვლადიმერ ღვინიაშვილი, ალექსანდრე ყაზაიშვილი და მოკარნახე ნინო ღვინიაშვილი“.

ამის შემდეგ, ია ქანთარია წერს: „3 დეკემბერს ჩავაბარე მუზეუმი. მშვიდობით მშობლიურ რუსთაველის თეატრო! 14 წელიწადი შენთვის ერთგული ვიყავი.“ ამ ერთგულებისთვის იგი ს. ახმეტელის ანტისაბჭოთა ჯგუფის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და 1937 წლის 29 ივნისს დახვითეს. 1956 წელს კი რეაბლიტირებულ იქნა, როგორც რეპრესიების უდანაშაულო მსხვერპლი.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ია ქანთარიას შრომის წიგნაკი.

1933 წ. 3. 02. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 6 გვ.

2. ხელშეკრულება დადებული ია ქანთარიასა და საქ. ფილარმონიის დირექტორის მოადგილე ურუშაძეს შორის, საქართველოს კურორტებზე იუმორისტისა და კონფერანსზე მუშაობასთან დაკავშირებით.

1933 წ. 20. 08. ტფილისი. ნაბეჭდი. შევსებული ხელით. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

3. ია ქანთარიას სამხედრო ბილეთი.

1933 წ. 26. 09. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 32 გვ.

4. საქ. თეატრალური მუზეუმის ანკეტა. (შევსებული ია ქანთარიას მეუღლის, ნ. თულაშვილის მიერ).

1955 წ. 10. 04. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. 32 გვ.

5. საქ. ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური გამგეობის საპატო სიგელი, წარჩინებული საზოგადოებრივი მუშაობისა და წითელი არმიის მხატვრულად მომსახურების აქტიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

უთარილო. ტფილისი. დასტამბული. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: გამგეობის თავრე – შავგულიძე. ამოწმებს: საქმეთა მმართველი – ცაბაძე. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

ცნობები, მანდატები, მიმართვები

6. რუსთაველის თეატრის ცნობა, რომ ია ქანთარია არის რუსთაველის თეატრის რეჟისორის თანაშემწე.

1931 წ. 5. 06. ტფილისი. შტამპიანი ფურცელი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: დირექტორი – პ. კანდელაკი, ადგილკომის თავრე – გვარი არ იკითხება, პარტუჯრედის მდივანი – გვარი არ იკითხება. 0,5 გვ.

7. საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის გამგეობის მიერ გაცემული მანდატი, რომ ია ქანთარია არჩეულია საკავშირო პროფკავშირის ყრილობის დელეგატად.

1931 წ. 31. 12. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: პროფკავშირის თავრე – კობალაძე. რუსულ ენაზე. 0,5 გვ.

8. სსრკ ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის მიმართვა ია ქანთარიასადმი, წითელ არმიასთან აქტიური საშეფო მუშაობისთვის ფოტოაპარატით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 10. 05. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: პროფკავშირის თავრე – ბოიარსკი, მდივანი – პაშკოვსკი. რუსულ ენაზე. 0,5 გვ.

9. საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის მიმართვა რუსთაველის თეატრის ადგილკომისადმი, ია ქანთარიას სიგელიტა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით.

1935 წ. 8. 06. ტფილისი. შტამპიანი ფურცელი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: პროფკავშირის თავრე – გვარი არ იკითხება, საქმეთა მმართველი – ზახაროვა. 0,5 გვ.

10. რუსთაველის თეატრის ცნობა, რომ ია ქანთარია არის თეატრის სტუდია-ტექნიკუმის მასწავლებელი.

უთარილო. ტფილისი. შტამპიანი ფურცელი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: დირექტორის მაგიერ – პ. კანდელაკი, ამოწმებს: საქმეთა მმართველი – თოთიბაძე. 0,5 გვ.

11. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორ მ. სკოპცევის მიმართვა საქ. სათეატრო მუზეუმის დირექტორ გ. ბუნნიკაშვილისადმი, ია ქანთარიას რეაბლიტაციის შესახებ.

1956 წ. 29. 02. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ია ქანთარიას სხვადასხვა ორგანიზაციების საწევრო წიგნაკები

12. მთლიანი მუშათა კოოპერაციის წევრობის წიგნაკი.
1930 წ. 10. 07. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 32 გვ.
13. საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრობის წიგნაკი.
1930 წ. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 14 გვ.
14. მუშა-მოსამსახურის საანგარიშო წიგნაკი.
1930 წ. 19. 11. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 48 გვ.
15. რუსთაველის თეატრის რეჟისორის თანაშემწისა და სალიტერატურო ნაწილის გამგის პირადობის მოწმობა.
1931 წ. 27. 05. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ფოტოსურათით. 0,5 გვ.
16. რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგისა და რეჟისორ-ასისტენტის პირადობის მოწმობა.
1933 წ. 7. 01. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ფოტოსურათით. 0,5 გვ.
17. რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის წიგნაკი.
1934 წ. 29. 05. მოსკოვი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
18. საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების წევრობის წიგნაკი.
1934 წ. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 14 გვ.
19. შრომის დამკვერელის წიგნაკი.
1934 წ. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 20 გვ.
20. რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის პირადობის მოწმობა.
1935 წ. 4. 05. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ფოტოსურათით. 0,5 გვ.
21. რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგის პირადობის მოწმობა.
1935 წ. 5. 11. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ფოტოსურათით. 0,5 გვ.
22. საქ. პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მოწმობა, რომ ია ქანთარია არის უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ინსტრუქტორ-ორგანიზატორი მხატვრული თვითმოქმედებისა და დასვენების დარგში.
1936 წ. 27. 05. ტფილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: პროფკავშირის თავ-რე – გუგუშვილი, ამოწმებს: საქმეთა მმართველი – გამყრელიძე. 0,5 გვ.
23. საქ. პროფკავშირის კულტურულ-საშეფო კავშირის წევრობის წიგნაკი.
1936 წ. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 16 გვ.

24. საქ. დრამატული კომიტეტის წევრობის მოწმობა.

უთარილო. ტფილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. მელანი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

25. ია ქანთარიას ჩანაწერები სპექტაკლების: „მეფე ლირის“, „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „ანზორის“, „რღვევას“ რეპეტიციებისა და შემოქმედებითი ლაბორატორიის დაარსებასთან დაკავშირებით.

1928 წ. 28. 06. – 2. 09. ტფილისი. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. 48 გვ.

26. ია ქანთარიას ჩანაწერები 1930 წელს ჩატარებულ სსრკ ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადაზე რუსთაველის თეატრის მონაწილეობასთან დაკავშირებით (საგასტროლო სპექტაკლების მიმდინარეობა და პრესიდან ამონაჭრები).

1930 წ. 30. 04. – 19. 06. მოსკოვი. რვეული. ხელნაწერი. ფანქარი. 24 გვ.

27. ქართული თეატრის ისტორიის სწავლების გეგმა.

უთარილო. ტფილისი. ნაბეჭდი. 4 გვ.

28. ქართული თეატრის ისტორიის სწავლების გეგმა.

უთარილო. ტფილისი. ნაბეჭდი. 5 გვ.